

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

2021 წელს, საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებული
ფესტივალების (ტურნირების) შესახებ
(პროექტი)

მუხლი 1. მიზნები და ამოცანები

1. წინამდებარე დებულება აწესრიგებს საქართველოს რაგბის კავშირის მიერ ორგანიზებულ ფესტივალებში (ტურნირებში) კლუბების (გუნდების) მონაწილეობას.
2. წინამდებარე დებულებით საქართველოს რაგბის კავშირის მიზნებსა და ამოცანებს წარმოადგენს:
 - ა) ფესტივალების (ტურნირები) ორგანიზება;
 - ბ) საქართველოში რაგბის შემდგომი პოპულარიზაცია, რეგიონებში რაგბის დანერგვა და განვითარება;
 - გ) ახალგაზრდებში რაგბის ფუნდამენტური ფასეულობებისა და ეთიკური ნორმების პროპაგანდა.
 - დ) მწვრთნელების, მსაჯებისა და სპორტსმენების პროფესიული დონის ამაღლება;
 - ე) საქართველოს სარაგბო აკადემიისთვის კანდიდატების გამოვლენა.

მუხლი 2. ფესტივალების (ტურნირების) ხელმძღვანელობა.

1. ფესტივალების (ტურნირების) ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს რაგბის კავშირი (ს.რ.კ) თავისი სტრუქტურული ერთეულის (განვითარების ჯგუფის) მეშვეობით.
2. ფესტივალების (ტურნირების) ჩატარებაზე პასუხს აგებს საქართველო რაგბის კავშირის (ს.რ.კ) განვითარების ჯგუფი.

მუხლი 3. ფესტივალებში (ტურნირებში) მონაწილეობის უფლება.

1. ფესტივალებში (ტურნირებში) მონაწილეობა შეუძლია იმ კლუბს (გუნდს), რომელიც არის იურიდიული პირი, აღიარებს კავშირის წესდებასა და რაგბის კავშირში წარდგენილი განცხადებით, ადასტურებს მზადყოფნას წინამდებარე დებულებით დადგენილი მოთხოვნების უპირობო შესრულებაზე.

მუხლი 4. ფესტივალებში (ტურნირებში) მონაწილეობის პირობები

1. კლუბები (გუნდები) ფესტივალებში (ტურნირებში) მონაწილეობისათვის ვალდებული არიან საქართველოს რაგბის კავშირის (ს.რ.კ) განვითარების ჯგუფში წერილობით წარმოადგინონ:

ა) სათანადო ფორმით შედგენილი განცხადება. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს ლიცენზირებულ მოთამაშეთა სია .

ბ) კლუბის (გუნდის), როგორც იურიდიული პირის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ამონაწერი მარეგისტრირებელი ორგანოს რეესტრიდან, კლუბის წესდება) და საკონტაქტო მონაცემები (საფოსტო მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონები); სეზონის განმავლობაში, ზემოთ ხსენებულ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შესახებ კლუბმა (გუნდმა) უნდა აცნობოს განვითარების ჯგუფს ცვლილებიდან მაქსიმუმ 5 სამუშაო დღის ვადაში.

გ) შეჯიბრებებში მონაწილეობის მსურველი კლუბის (გუნდის) საფესტივალო (სატურნირო) განაცხადი ორ ეგზემპლარად, რომელიც დამტკიცებულია კლუბის ხელმძღვანელისა და აკრედიტებული სამედიცინო დაწესებულების მიერ.

დ) ახალ კლუბებს (გუნდებს), რომლებსაც ექნებათ ფესტივალებში (ტურნირებში) მონაწილეობის სურვილი, უფლება მიეცემათ ჩაერთონ ფესტივალებში (ტურნირებში), მხოლოდ საჭირო დოკუმენტაციის სრულად, სათანადო ფორმითა და დადგენილ ვადებში წარდგენის შემთხვევაში.

ე) კლუბი (გუნდი) ვალდებულია ფესტივალამდე (ტურნირამდე) 4 დღით ადრე დაადასტუროს თავისი მონაწილეობა საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფში.

ვ) ფესტივალები (ტურნირები) ტარდება საქართველოს რაგბის კავშირის მიერ დამტკიცებული წესების მიხედვით **(იხილეთ დანართი #1)**

ზ) საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით გამართულ ფესტივალებში გუნდის გამოყვანის უფლება აქვთ მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის მქონე მწვრთნელებს, თამაშის მიმდინარეობისას ტექნიკურ არეში თითო გუნდიდან მხოლოდ 1 მწვრთნელი დაიშვება.

მუხლი 5. მოთამაშეთა ლიცენზირების პირობები

მოთამაშეთა ლიცენზირებისათვის აუცილებელია შემდეგი საბუთების წარმოდგენა; პირადობის დამადასტურებელი ოფიციალური სურათიანი საბუთი, (პირადობის მოწმობა, პასპორტი, სურათიანი ფორმა #1). მიმდინარე წელს გაცემული ჯანმრთელობის ცნობა, ფორმა #100

მუხლი 6. ფესტივალის (ტურნირის) ჩატარების წესი

საქართველოში ყველა ფესტივალის (ტურნირის) ჩატარება შეთანხმებული უნდა იყოს საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფთან. ფესტივალის (ტურნირის) ჩატარებისას გათვალისწინებული უნდა იყოს სრკ-ს განვითარების ჯგუფის მიერ დადგენილი ყველა შესაბამისი მოთხოვნა. წინააღმდეგ შემთხვევაში რაგბის კავშირი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

მუხლი 7. მსაჯობა

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებს მოემსახურება საქართველოს რაგბის კავშირის მსაჯთა კომიტეტის მიერ დანიშნული მსაჯთა ბრიგადები (გამონაკლისია 13, 11 და 9 წლამდე ასაკობრივი კატეგორიები, სადაც თამაშებს განსჯიან გუნდის მწვრთნელები).

თამაშები ჩატარდება, შესაბამისი ასაკისათვის დადგენილი საერთაშორისო და სრკ-ს განვითარების ჯგუფის მიერ, მონაწილე გუნდებთან შეთანხმებული წესების მიხედვით. სათამაშო არეში აღნიშნული წესების დაცვის უზრუნველყოფა მხოლოდ მთავარი მსაჯის კომპეტენციაა.

მუხლი. 8 კონტროლი

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ჩატარებული ნებისმიერი ფესტივალის (ტურნირის) საორგანიზაციო მხარეზე პასუხისმგებლები, ფესტივალის (ტურნირის) კომისრები (მეთვალყურეები) არიან. კომისრის (მეთვალყურის) მოვალეობებში შედის:

- 1) სტადიონის შემოწმება (მოედნის საფარი, უსაფრთხოება)
- 2) მოედნის მომზადება შესაბამისი ასაკისათვის
- 3) მსაჯებისა და ექიმების მზადყოფნის შემოწმება
- 4) გუნდების მზადყოფნის შემოწმება (დაწყებამდე 15 წუთით ადრე)
- 5) თამაშების გრაფიკის კონტროლი
- 6) ინვენტარის კონტროლი
- 7) მონაცემების ჩაწერა;
 - ა) მსაჯები, ექიმები
 - ბ) გუნდების შეფასება (კომენტარი)
 - გ) წესრიგი სტადიონზე

საჭიროების შემთხვევაში, კომისრებს (მეთვალყურეებს) უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერი მოთამაშის სალიცენზიო ბარათი.

მუხლი. 9 სანქციები

ფესტივალის (ტურნირის) პერიოდში მომხდარი ყოველი დარღვევა განიხილება საქართველოს რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფის მიერ. დისციპლინარული ზომები მიღებულ იქნება შესაბამისი სადისციპლინო კოდექსის მოთხოვნების მიხედვით. (იხ. სადისციპლინო კოდექსი საფესტივალო ასაკის გუნდებისთვის) .

მუხლი. 10 სამედიცინო მომსახურება

საქართველოს რაგბის კავშირის ეგიდით ორგანიზებულ შეჯიბრებებს მოემსახურებიან საქართველოს რაგბის კავშირის სამედიცინო სამსახურის მიერ დანიშნული ექიმები.

დანართი # 1

საფესტივალო ასაკის რეგულაციები

	U 9	U 11	U 13	U 15
მოთამაშეთა რაოდენობა	5x5 (+2)	7x7 (+3)	9x9 (+4) 3 შერკინება, 6 უკანა ხაზი	12x12 (+5) 6 შერკინება 6 უკანა ხაზი
მოედნის ზომა	30x20	45x30	65x45	90x55
დრო	20წთ თამაში max.7 წთ	30წთ თამაში max.10წთ	40წთ თამაში max. 14წთ	50წთ თამაში max. 16წთ
ფეხით თამაში	არა	არა	კი	კი
აუტი	არა *	არა*	კი ბურთზე ბრძოლის და აწევის გარეშე	კი ბურთზე ბრძოლა აწევის გარეშე
შერკინება	არა*	არა*	კი ბურთზე ბრძოლის და მიწოლის გარეშე	კი ბურთზე ბრძოლის და მიწოლის გარეშე
მსაჯები	მწვრთნელების მსაჯობა	მწვრთნელების მსაჯობა	მწვრთნელების მსაჯობა	წესების შესაბამისად მომზადებული მსაჯები

- თავისუფალის გათამაშება აუტის ან შერკინების ადგილიდან

დანართი # 2

2021 საფესტივალო კალენდარი (აღმოსავლეთი)

მარტი			U13 შაბათი U11 , S9 კვირა 20/21 მარტი	U15 შაბათი U15 კვირა 27/28 მარტი	
აპრილი	U13 შაბათი U11, S9 კვირა 3/4აპრილი	U15 შაბათი U15 კვირა 10/11 აპრილი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 17/18 აპრილი რუსთავი	U15 შაბათი U15 კვირა 12კაცა შესარჩევი 24/25 აპრილი	
მაისი	2 მაისი აღდგომა	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 8/9 მაისი	U15 შაბათი U15 კვირა საქართველოს ჩემპიონატი 15/16 მაისი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 22/23 მაისი პატარძეული	U15 შაბათი U15 კვირა 7s 1 შესარჩევი 29/30 მაისი
ივნისი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 5/6 ივნისი	U15 შაბათი U15 კვირა 7s 2 შესარჩევი 12/13 ივნისი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 19/20 ივნისი	U15 შაბათი U15 კვირა 7s საქ. ჩემპ გორი 26/27 ივნისი	
სექტემბერი				U13 შაბათი U11 , S9 კვირა 18/19 სექტემბერი	U15 შაბათი U15 კვირა 25/26 სექტემბერი
ოქტომბერი	U13 შაბათი U11, S9 კვირა 2/3 ოქტომბერი	U15 შაბათი U15 კვირა 9/10 ოქტომბერი თელავი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 16/17ოქტომბე რი	U15 შაბათი U15 კვირა 23/24 ოქტომბერი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 30/31ოქტომბე რი
ნოემბერი	U15 შაბათი U15 კვირა 6/7 ნოემბერი	U13 შაბათი U11 , S9 კვირა 13/14ნოემბერი	U15 შაბათი U15 კვირა 20/21 ნოემბერი		

2021 წ საფესტივალ კალენდარი (დასავლეთი)

მარტი			20მარტი U15 ჩოხატაური	27 მარტი U13 ოზურგეთი. 28 მარტი U11,U9 ლანჩხუთი	
აპრილი	3 აპრილი U15 ქუთაისი	10 აპრილი U13 ქუთაისი. 11 აპრილი U11,U9 ქუთაისი	17 აპრილი U15 წალენჯიხა	24 აპრილი U13 ვანი. 25 აპრილი U11,U9 ცაგერი	
მაისი	2 მაისი აღდგომა	8 მაისი U15 ფოტი	15 მაისი U13 ჭიათურა. 16 მაისი U11,U9 ტყიბული	22 მაისი U15 ფურტიო	29 მაისი U13 ხობი. 30 მაისი U11,U9 ქობულეთი
ივნისი	5 ივნისი U15 ბათუმი	12 ივნისი U13 ცაგერი. 13 ივნისი U11,U9 ამბროლაური	19 ივნისი U15 ასპინძა	26 ივნისი U13 თერჯოლა. 27 ივნისი U11,U9 ბარდათი	
ივლისი	3 ივლისი U15 ფოთი	10 ივლისი U13 ზუგდიდი. 11 ივლისი U11,U9 ზესტაფონი			
სექტემბერი			18 სექტემბერი U15 ბათუმი	25 სექტემბერი U13 ქობულეთი 26 სექტემბერი U11,U9 ჩაქვი	
ოქტომბერი	2 ოქტომბერი U15 ფოთი	9 ოქტომბერი U13 ქუთაისი. 10 ოქტომბერი U11,U9 ხარაგაული	16 ოქტომბერი U15 ჩოხატაური	23 ოქტომბერი U13 ოზურგეთი. 24 ოქტომბერი U11,U9 თერჯოლა	30 ოქტომბერი U15 ქუთაისი
ნოემბერი	6 ნოემბერი U13 ზუგდიდი. 7 ნოემბერი U11,U9 ფოთი	13 ნოემბერი U15 ქუთაისი			